



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
**საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო  
უნივერსიტეტი**

**ბრძანება**



MES 3 20 0000493884



19/06/2020

N 62/2

2020 წლის 19 ივნისი ქ. თბილისი

**2020 – 2021 სასწავლო წლის დაწყებისა და სასწავლო პროცესის  
დარეგულირების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 ივლისის № 05/91 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-20 მუხლის საფუძველზე, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის აკადემიურ საფეხურებზე სასწავლო პროცესის შეუფერხებელი წარმართვის მიზნით

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში 2020 – 2021 სასწავლო წელს სასწავლო პროცესი წარიმართოს შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

**ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა**

**შემოდგომის სემესტრი**

- 1 სექტემბერი, სამშაბათი - გამოცხადება
- 21-28 სექტემბერი - ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია
- 28 სექტემბერი - 16 იანვარი - სალექციო მეცადინეობები
- 31 დეკემბერი - 7 იანვარი - საშობაო არდადეგები
- 18 იანვარი - 13 თებერვალი - საგამოცდო სესია

15-20 თებერვალი - დამატებითი გამოცდები

22-29 თებერვალი - არდადეგები

## გაზაფხულის სემესტრი

22 თებერვალი-1 მარტი - ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია

1 მარტი - 12 ივნისი - სალექციო მეცადინეობები

14 ივნისი - 10 ივლისი - საგამოცდო სესია

12-17 ივლისი - დამატებითი გამოცდები

2. დადგენილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის გაზეთში და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ელექტრონულ გვერდზე.

3. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე განახორციელოს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., N 64.

საფუძველი: აკადემიური საბჭოს სხდომის დადგენილება

19.06.2020 წელი.

სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა

და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

რექტორი

მარგველაშვილი გიორგი

